ნანა შავთვალაძე შალვა დუნდუა

აკადემიური წერა

მეშვიდე გამოცემა

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი

2015

აკადემიური წერა
მეშვიდე გამოცემა
2015
ავტორები:
ნანა შავთვალაძე, შალვა დუნდუა

რედაქტორი:

თამაზ ბერაძე

რეცენზენტები:
ნანა ფრუიძე
ნინო ბარნოვი
ქეთევან დათუკიშვილი

მეშვიდე გამოცემა
ISBN 978-99940-50-21-5

ყველა უფლება დაცულია
© 3554, თბილისი, საქართველო.
საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2015

შინაარსი

წინასიტყვაობა 1

შესავალი 2

I.1 წერის საწყისი ელემენტები 12

I.2 ეფექტური კითხვის სტრატეგიები 22

II. სტილი 27

III. წერის პროცესი 39

IV. თეზისის განვითარება და წერითი ნაშრომის პირველი პირის შექმნა........ 53

V. 1 გარდამავალი აბზაცი და მისი განვითარება 69

V. 2 რეზიუმე........ 87

VI.1 შესავალი და დასკვნითი აბზაცი 94

VI.2 ეფექტური წინადადება 101

VII.1 თემის შესწორება 116

VII. 2 პრაქტიკუმი რედაქტირებისათვის 130

VIII.1 თხზულებათა ტიპოლოგია. ტექსტის განვითარების სტრატეგია:
აღწერა და დახასიათება 152

VIII. 2 ტექსტის განვითარების სტრატეგია _თხრობა 165

IX. ტექსტის განვითარების სტრატეგია _პროცესის ანალიზი 173

X. აფა-ს სტილი 184

XI. 1 ტექსტის განვითარების სტრატეგია _კლასიფიკაცია........ 214

XI. 2 ტექსტის განვითარების სტრატეგია _ შედარება........ 222

XII. ტექსტის განვითარების სტრატეგია _დასაბუთება........ 235

XIII. ტექსტის განვითარების სტრატეგია _მიზეზი და შედეგი........ 252

საქმიანი ქაღალდები........ 266

დანართი 1. ტესტები........ 274

დანართი 2. პრეზენტაცია........ 295

დანართი 3. პრაქტიკული სამუშაოები........ 299

ზოგიერთი ტერმინის განმარტება........ 300

გამოყენებული ლიტერატურა........ 302

წინასიტყვაობა

საქართველოს უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია იკითხება სალექციო კურსი აკადემიურ წერაში. წინამდებარე სახელმძღვანელო სწორედ ამ სალექციო კურსს დაეფუძნა. შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტებისა და კოლეგების დახმარებით სახელმძღვანელოს უკვე გაიარა აპრობაცია.

წიგნში მარტივად, ნათლად და თანმიმდევრულად მიეწოდება მკითხველს აკადემიური წერის თეორიული ნაწილი, უამრავი ნიმუშითა და პრაქტიკული დავალებებით. სახელმძღვანელოსაშუალებას აძლევს სტუდენტს ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ აიმაღლოს წერის კულ- ტურა.

წიგნის პირველი ნაწილი აგებულია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული აკადემიური წერის პრინციპებზე; განხილულია,თუ რისგან შედგება თემა, რა აგებულება აქვს, რა სტილით და როგორ შეიძლება დაიწეროს, როგორ უნდა გაიშალოს მსჯელობა, როგორ დაიხვეწოს ტექსტი და ა.შ.

ამასთანავე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, აღგვეწერა სხვადასხვა ტიპის თემის შედგენის ხერხები და საშუალებები, ვინაიდან მათი ცოდნა და გამოყენება სტუდენტებს აუცილებლად დასჭირდებათ ჩვენს აკადემიურ სივრცეში.

წიგნს დანართად ერთვის საქმიანი დოკუმენტების ნიმუშები. ამ სახის მასალაზე დიდი მოთხოვნაა და ამიტომაც გავხადეთ ეს მასალა სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი. წიგნის დანართი შეიცავს ტესტებსაც. ვფიქრობთ, რომ ეს ტესტები დაეხმარება სტუდენტს თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და გაღრმავებაში.

დიდ მადლობას ვუხდით იმ სტუდენტებს, რომელთა რჩევები დიდად დაგვეხმარა წიგნის სრულყოფასა და საბოლოო სახის მიცემაში.

და ბოლოს, გვინდა განსაკუთრებულად აღვნიშნოთ საქართველოს უნივერსიტეტის რექ- ტორატისა და პროფესორ-მასწავლებლების როლი ამ სახელმძღვანელოს შექმნაში. პირველ რიგში, მადლობა გვინდა გადავუხადოთ უნივერსიტეტის რექტორს ქალბატონ მანანა სანაძეს, უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის დირექტორს ქალბატონ თინაღუდუშაურს, პროფესორ გონელი არახამიას და სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელს, ამავე დროს ამ წიგნის რედაქტორს ბატონ თამაზ ბერაძეს, იმ მორალური მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, რომელსაც ჩვენ მათგან ვიღებდით სახელმძღვანელოზემუშაობისას. განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ამ სახელმძღვანელოს რეცენზენტი ქალბატონი ნინო ბარნოვი კრიტიკული შენიშვნებისა და გაწეული მუშაობისათვის. ამასთანავე, აღსანიშნავია აკადემიური წერის ყველა ლექტორის წვლილი.

წიგნის შესავლის ისტორიული ნაწილი დაწერილია მ. სანაძის, გ. არახამიას და თ. ბერაძის მიერ.

შესავალი

ცოდნის დაგროვების გარკვეულ ეტაპზე ადამიანს გაუჩნდა საჭიროება, თავისი გამოცდილება უფრო საიმედო გზით გადაეცა, ვიდრე ამის საშუალებას ზეპირსიტყვაობა იძლეოდა. ამან გამოიწვია დამწერლობის წარმოშობა. თავდაპირველად ადამიანმა უმარტივესი ხატოვანი დამწერლობა, ანუ პიქტოგრაფიაშექმნა. ხატოვანი დამწერლობის განვითარებამ იეროგლიფური დამწერლობა წარმოქმნა, სადაც გარკვეული ხატოვანი გამოსახულება ერთ სიტყვას შეესაბამებოდა. იეროგლიფური დამწერლობა ძვ. წ. III ათასწლეულში წარმოიშვა. მას იყენებდნენისეთი უძველესი ხალხები, როგორებიც იყვნენ ძველი ეგვიპტელები, ჩინელები და სხვ. ჩინეთსა და იაპონიაში იეროგლიფური დამწერლობა დღემდე შემორჩა. ძველი ეგვიპტელები იეროგლიფებით წერდნენ როგორც ქვაზე, ისე პაპირუსზე. ეს დამწერლობა XIX ს-ის I ნახევარში დიდმა ფრანგმა მეცნიერმა ფრანსუა შამპოლიონმა გაშიფრა, რაც იმ დროს მეცნიერების უდიდესი მიღწევა იყო.

შუმერული წარწერა

დამწერლობის განვითარების შემდგომ საფეხურს ლურსმული დამწერლობა წარმოადგენდა.ასეთ დამწერლობასიყენებდნენ წინა აზიის ხალხები - ძველი შუმერები, ასურელები, ხეთები... ჩვენი წინაპრების სამხრეთელი მეზობლები ურარტუელები. ესდამწერლობაც ძირითადად XIXსაუკუნეში გაიშიფრა. ლურსმული დამწერლობის წაკითხვაში განსაკუთრებული დამსახურება ინგლისელ ჰენრი როულინსონს მიუძღვის. ლურსმულ დამწერლობაში ცალკეული ნიშნით უკვე ცალკეული მარცვალია გადმოცემული. ლურსმულით წერდნენ როგორცქვაზე, ისე თიხის ფირფიტებზე. დღეს ასეთი თიხის ფირფიტების რამდენიმე ბიბლიოთეკაა აღმოჩენილი.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებმა ძველმა ფინიკიელებმა ლურსმული დამწერლობიდანანბანური დამწერლობაშექმნეს, სადაც თითოეულ ბგერას თითო ასო-ნიშანი შეესაბამებოდა. ფინიკიური დამწერლობის პირველი ნიმუშები ძვ. წ. XII – XI საუკუნეებიდან შემოგვრჩა. ფინიკიელებმა ასეთი ასო-ნიშნები მხოლოდ თანხმოვნებს მიუსადაგეს. დასრულებულისახე ანბანურ დამწერლობას ძველმა ბერძნებმა მისცეს, რომლებმაც ფინიკიურ ანბანს ხმოვნების აღმნიშვნელი ასო-ნიშნებიც დაუმატეს. ძველი ბერძნული დამწერლობის პირველი ნიმუშები ძვ. წ.IX-VIII საუკუნეებიდან შემოგვრჩა. თავდაპირველად ძველი ბერძნები, ფინიკიელების მსგავსად მარჯვნიდან მარცხნივ წერდნენ, შემდგომ კი წარწერამარცხნიდან მარჯვნივ წერაზე გადავიდნენ. ბერძნულიდან ანბანი ბევრმა ძველმა ხალხმა გადაიღო, მათ შორის ლათინებმა (რომაელებმა). ლათინური ანბანი საფუძვლად დაედოთანამედროვე დასავლეთევროპული ქვეყნების ანბანებს. ბერძნულიდან მოდის ძველი სლავური ანბანიც, რომელიც IX ს-ში შეიქმნა. მისი განვითარებაა დღევანდელი რუსული ანბანი.

ფინიკიური წარწერა

ფინიკიურმა ანბანმა საფუძველი დაუდო წინა და მცირე აზიაში გავრცელებულ არამეულ დამწერლობას, რომელიც ასევე არ შეიცავდა ხმოვან ასო-ნიშნებსდა მარჯვნიდან მარცხნივ იწერებოდა. არამეულით შესრულებული პირველი წერილობითი ძეგლები ძვ. წ. IX საუკუნითაა დათარიღებული. არამეულიდან განვითარდა არაბული დამწერლობა, რომელსაც არამეულის ეს ორივე ნიშანი ახასიათებს. არაბულიდამწერლობა ძველად ყველა მუსლიმურ ქვეყანაში იყო გავრცელებული. დღეს



ამ ანბანს ძირითადად არაბული ქვეყნები და ირანი იყენებს. სულ მსოფლიოში დღეისათვის 14 ანბანური სისტემა არსებობს.მათ შორისაა ქართული ანბანი.

არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან განათლებული და მწიგნობარი ერების რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ისინიკარგადფლობდნენ ბერძნულ, არამეულ ენებს და ცხოვრებაში ორივე დამწერლობას იყენებდნენ. დღეისათვის არქეოლოგების მიერ გამოვლენილი უძველესი ბერძნული წარწერები საქართველოში ძვ. წ. V ს-დან გვხვდება. უძველესი არამეული დამწერლობის ძეგლები კი ახ. წ. I ს-ით თარიღდება.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ შეიქმნა ქრისტიანული ლიტერატურის ქართულად თარგმნის საჭიროება, რამაც ქართული დამწერლობა წარმოშვა. თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით ქართული ანბანი IV ს-ის I ნახევარში ბერძნული ანბანის საფუძველზეა შექმნილი. ძველი ქართული მატიანე –„მეფეთა ცხოვრება“ ქართული ანბანის შექმნას ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს მიაწერს (ძვ. წ. IV-III ს.ს.) თანამედროვე მეცნიერები ამ ცნობას ნაკლებ დამაჯერებლად მიიჩნევენ, რადგან დღემდე არაა ნაპოვნი გაქრისტიანებაზე ადრინდელი ხანის ქართული ანბანით შესრულებული ტექსტი.

დღეისათვის ქართული დამწერლობის უძველეს ნიმუშად არქეოლოგიური გათხრების შედეგად IV-V საუკუნეების მიჯნით დათარიღებული იერუსალიმში აღმოჩენილი ქრისტიანული ტაძრის კედლის მინაწერი ითვლება. მეცნიერთა აზრით, მეხუთე საუკუნისაა იერუსალიმის მოზაიკური ქართული წარწერა და ბოლნისის ტაძრის წარწერა. ასევე, უძველეს ქართულ წარწერებს მიეკუთვნება მცხეთის ჯვრისა და ურბნისის ტაძრის წარწერები.

ქართული დამწერლობის პირველი ზუსტად დათარიღებული წარწერა ატენის ტაძარზე მოიპოვება, სადაც მოცემულია ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ III-ის გარდაცვალების თარიღი - 738 წელი. საინტერესოა ვიცოდეთ, რომ წარწერაში ეს თარიღი არაბული წელთაღრიცხვითაა მოცემული.

ჩვენამდე ათი ათასზე მეტმა ძველმა ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა ან მისმა ცალკეულმა ფრაგმენტმა მოაღწია. მათი უმეტესობა მაღალ მხატვრულ დონეზეა გაფორმებული. ამათგან უძველესები VI-VII სს-ით თარიღდება. იმხანად ჩვენი წინაპრები ქაღალდს ჯერ კიდევ არ იყენებდნენ და საწერ მასალად სპეციალურად დამუშავებულ ტყავს - ეტრატს ხმარობდნენ. თითოეულ ხელნაწერ წიგნს ათეული და ზოგჯერ ასეული ხბოს ან ცხვრის ტყავი სჭირდებოდა. ასეთი ძვირფასი მასალის ეკონომიის მიზნით, ხშირად ძველ ნაწერებს შლიდნენ და მათზე ახალს ათავსებდნენ. ასეთ ხელნაწერებს პალიმფსესტები ეწოდება. წაშლის მიუხედავად, ეტრატზე ძველი ტექსტის კვალი მაინც შემორჩა. ამიტომ პალიფსესტებმა შემოგვინახეს უძველესი ქართული ტექსტები, რომელთა წაკითხვა მეცნიერებმა შეძლეს.

პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი 864 წლის საეკლესიო წიგნი, ე. წ. სინური მრავალთავია. „სინურს“ ამ ხელნაწერს იმიტომ უწოდებენ, რომ ის დაცულია სინას მთის მონასტრის წიგნთსაცავში. საინტერესოა, რომ ეს ხელნაწერი მისი შექმნიდან დაახლოებით 100 წლის შემდეგ დიდმა ქართველმა ჰიმნოგრაფმა იოანე-ზოსიმემ შეამკო ხელნაწერის ბოლო გვერდზე თავისი „ქება და დიდება ქართულისა



ძველი ბერძნული ანბანი

ABCDEFGHI
JKLMNOPQR
STUVWXYZ

ლათინური ანბანი

ენისა“ ქართული ენისადმი მიძღვნილი დიდებული საგალობელი– მოათავსა.უძველესი ქართული ხელ ნაწერი წიგნებია აგრეთვე ადიშის, ოპიზის, ჯრუჭის, პარხალის ოთხთავები – სახარებები.

ქართულმა დამწერლობამ განვითარების გრძელი გზა გაიარა. უძველეს ქართულ ანბანს თავისი მოხაზულობის გამო მრგვლოვანს – ასომთავრულს უწოდებენ. მრგვლოვანში ყველა ასო ერთი სიმაღლისაა. ეს ანბანი ჩქარი წერისთვის მოუხერხებელი იყო და თანდათან ის ქართული ანბანის მეორე სახეობამ – ნუსხურმა შეცვალა. ნუსხურის ყველაზე ადრეული ნიმუში ატენისტაძრის კედლის 835 წლის წარწერამ შემოგვინახა. ნუსხურმა ეპიგრაფიკულ ძეგლებში მრგვლოვანი ვერ გამოდევნა, სამაგიეროდ, ხელნაწერებში თანდათანობით მისი ადგილი თითქმის მთლიანად დაიკავა.

ნუსხურის პარალელურად ჩამოყალიბდა ქართული დამწერლობის კიდევ ერთი სახეობა – მხედრული. მისი პირველი ნიმუში ისევ ატენის სიონის ტაძარმა შემოგვინახა. ის 980-იანი წლებით თარიღდება. თანდათანობით მხედრულმა საერო დამწერლობიდან ნუსხური თითქმის მთლიანად გამოდევნა. ამის შემდეგ ნუსხურით ძირითადად სასულიერო შინაარსის წიგნები იწერებოდა, რის გამოც მას მოგვიანებით ხუცური ან ნუსხა-ხუცური ეწოდა. მხედრულის განვითარებაა დღევანდელი ქართული ანბანი.

ადამიანის ნააზრევის ნიშნებით აღბეჭდვას ქართულად „წერა ერქვა, ხოლო ყოველ ცალკე ხელნაწერს – წიგნი. ის თავდაპირველად ნიშნავდა ანბანის ასოს, შემდეგ კი ყოველგვარი შინაარსის წერილობით ძეგლს, განურჩევლად მასალისა და ფორმისა.

ეტრატზე, ქაღალდსა და კედლის ბათქაშზე ტექსტის დასაწერად იყენებდნენ საგანგებოდ დამზადებულ საღებავს, რასაც „მელანს“ ეძახდ-ნენ (მომდინარეობს ბერძნული „მელანოსიდან“, რაც შავს ნიშნავს). ძირითადი ტექსტის საწერად შავი ფერის მელანი იხმარებოდა, მასში ცალკე-ული ნაწილების გამოსაყოფად – წითელი.ძვირ-ფასი წიგნების საზედაო ასოები საგანგებო მელნით – „სინგურით“ იწერებოდა, რომელიც ფერის სიმკვეთრითა და ბრწყინვალებით გა-მოირჩეოდა.

1	Ⴀ	ⴀ	ა	ან	1	20	Ⴑ	ⴑ	ს	სან	200
2	Ⴁ	ⴁ	ბ	ბან	2	21	Ⴒ	ⴒ	ტ	ტარ	300
3	Ⴂ	ⴂ	გ	გან	3	22	Ⴣ	ⴣ	ჳ	ჳიე	400
4	Ⴃ	ⴃ	დ	დონ	4	23	Ⴓ	ⴓ	უ	უნ	—
5	Ⴄ	ⴄ	ე	ენ	5	24	Ⴔ	ⴔ	ფ	ფარ	500
6	Ⴅ	ⴅ	ვ	ვინ	6	25	Ⴕ	ⴕ	ქ	ქან	600
7	Ⴆ	ⴆ	ზ	ზენ	7	26	Ⴖ	ⴖ	ღ	ღან	700
8	Ⴡ	ⴡ	ჱ	ჰე	8	27	Ⴗ	ⴗ	ყ	ყარ	800
9	Ⴇ	ⴇ	თ	თან	9	28	Ⴘ	ⴘ	შ	შინ	900
10	Ⴈ	ⴈ	ი	ინ	10	29	Ⴙ	ⴙ	ჩ	ჩინ	1000
11	Ⴉ	ⴉ	კ	კან	20	30	Ⴚ	ⴚ	ც	ცან	2000
12	Ⴊ	ⴊ	ლ	ლას	30	31	Ⴛ	ⴛ	ძ	ძილ	3000
13	Ⴋ	ⴋ	მ	მან	40	32	Ⴜ	ⴜ	წ	წილ	4000
14	Ⴌ	ⴌ	ნ	ნარ	50	33	Ⴝ	ⴝ	ჭ	ჭარ	5000
15	Ⴢ	ⴢ	ჲ	ჲე	60	34	Ⴞ	ⴞ	ხ	ხან	6000
16	Ⴍ	ⴍ	ო	ონ	70	35	Ⴤ	ⴤ	ჴ	ჴარ	7000
17	Ⴎ	ⴎ	პ	პარ	80	36	Ⴟ	ⴟ	ჯ	ჯან	8000
18	Ⴏ	ⴏ	ჟ	ჟან	90	37	Ⴠ	ⴠ	ჰ	ჰაე	9000
19	Ⴐ	ⴐ	რ	რაე	100	38	Ⴥ	ⴥ	ჵ	ჰოე	10000

ქართული ანბანი

ეტრატსა და ქაღალდზე საწერ იარაღად იყენებდნენ ჯერ ლერწმის, შემდეგ ფრთის და ბოლოს ფოლადის კალამს. საწერი იარაღის ანუ „საწერელის“ სახელწოდება - „კალამი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „კალა-მოს“, რაც ლერწამს ნიშნავს. ნუსხა-ხუცური და მხედრული ტექსტების დასაწერად კალა-მი სხვადასხვაგვარად და იმ ფორმით გამოიჭ-რებოდა, რომ მისი წვერით თითოეული ამ ანბანის ასოთა მოხაზულობა სწორად ყოფი-ლიყო გამოყვანილი.

ქართველი მწიგნობრები სხვა თხზულე-ბიდან მოტანილ სიტყვებს (ციტატას) ძირი-თადი ტექსტისგან განსხვავებულად, წვრილი ასოებით და გადახრილად წერდნენ, რასაც



„ნოტრი“ ერქვა. ესაა თანამედროვე კურსივის წინამორბედი.

ჩვენი წინაპრები შესანიშნავად ფლობდნენ გამართული („საზოგადო“) წერის ხელოვნებას, მაგრამ, თავმდაბლობის ნიშნად ხშირად თავიანთ თავს „უცბად მჩხრეკელს“, ანუ უვიც („უცები“ ძველ ქართულში ამას ნიშნავს) გადამწერს უწოდებდნენ.

ხელის (კალიგრაფიის) მიხედვით განირჩეოდა ნაწერის ორი ძირითადი სახეობა. ყველასათვის ადვილად წასაკითხ მოხაზულობას ასოებისას „საზოგადო“ ანუ „კაიხელად“ წერა ერქვა, ამის საპირისპირო მნიშვნელობით იხმარებოდა ცნება „საპირადო“, ანუ „ავხელად“ წერა. არაბულმა სიტყვამ „ნუსხა“,რომელიც დედანს ნიშნავს, შემდეგში სწრაფად, ხელის ჩქარი მოძრაობით, ანუ „გაკრულად“ დაწერილის მნიშვნელობა მიიღო.ასეთ წერას „მალემწერლობა“ ერქვა.

ნუსხურით დაწერილ ტექსტში თხრობის, სიტყვის, წინადადების ანაზზაცის თავში მრგლოვანი ასო იწერებოდა, რასაც „საზედაოს“ ან „ასომთავარს“ ეძახდნენ (აქედან მივიღეთ მრგლოვანის მეორე სახელწოდება – ასომთავრული). ხშირად საზედაო ასოების სტილიზაციას მიმართავდნენ და სხვადასხვა ფორმის დამატებითი ნიშნებით ამკობდნენ. შემკობილობის სახეების მიხედვით საზედაო ასოებს „კიდურ-ყვავილოვანს“, „კიდურ-წერტილოვანს“ ან „ტყუბ-წერტილოვანს“ უწოდებდნენ, იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახის სამკაულს – ყვავილის გამოსახულებებს, წერტილებს თუ ორწერტილებს შორის იყო მოქცეული გრაფემა (ასო).

ქართველი კალიგრაფები ხშირად ორ გრაფემას ერთმანეთს შეაწნავდნენ. ამგვარად გამოსახულ ასოებს „თხზული“ ერქვა, გრაფემის მოხაზულობაში სხვა ასოს მოთავსებას „შეწიაღებას“ ეძახდნენ. ზოგჯერ ფურცლის დასასრულს ბოლო ასოს ფრინველის კლანჭისებურად მოაკაუჭებდნენ. ამას „ყვავის-ფრჩხილოვანს“ ეძახდნენ.

წერისას სხვადასხვა ფუნქციის მქონე ნიშანი გამოიყენებოდა, რაც მკითხველს ეხმარებოდა ნაწერის წაკითხვაში. ნებისმიერ მასალაზე ტექსტის წერის დროს, ადგილისა და დროის დაზოგვის მიზნით, სიტყვის შემადგენელ ასოებს, უმეტესად ხმოვნებს ან მარცვლებსაც კი გამოტოვებდნენ ხოლმე და მკითხველს ის სრულად უნდა წაეკითხა. შემოკლების აღსანიშნავად სტრიქონის ზემოთ დაისმებოდა საგანგებო ნიშანი, ძირითადად განივი ხაზი, რომელსაც ქარაგმა ჰქვია. დღეისათვის ცნობილ ტექსტებში ის VI საუკუნიდან ჩნდება.

გარკვეულ პერიოდში სიტყვები მიჯრით, ერთმანეთისგან განუცალკევებლად იწერებოდა, სიტყვების გამიჯვნა მკითხველის მოვალეობად რჩებოდა. VI საუკუნიდან უკვე ჩნდება სიტყვათა გამმიჯნავი უძველესი ნიშანი, ანუ განკვეთილობის ნიშანი „წერტილი“ („წერტვა“ ძველ ქართულში ჩხვლეტას ნიშნავს).განკვეთილობის ნიშნების სისტემის შექმნაში (ბერძნულის ანალოგიით) გარკვეული წვლილი მიუძღვის გიორგი მთაწმინდელს (XI ს.).



გარდატეხა მასში კი ეფრემ მცირემ შეიტანა. მან განკვეთილობისნიშნები წარმოთქმის, ინტონაციის რეგულირებას დაუკავშირა. ინტონაციის მიმოქცევის აღმნიშვნელად სიტყვა „სასუენი“ იხმარებოდა. წერტილით აღინიშნებოდა „მცირე სასუენი“, ორი წერტილი სიტყვების დასაშორებლად გამოიყენებოდა, სამი წერტილი „დიდად სასუენს“ ნიშნავდა, ექვსი წერტილი კი თხრობის გარკვეული მონაკვეთის დამთავრებას და ახლის დაწყებას

მიანიშნებდა. ეფრემ მცირის სისტემამ ფართო გავრცელება ჰპოვა ქართულ მწიგნობრობაში. XVსაუკუნიდან შემოდის კიდევ ერთი სასვენი ნიშანი – მძიმე (,).

წერის დროს გამოიყენებოდა პირობითი ნიშნებიც. ზოგი მათგანი რაიმე ხდომილების სიმრავლის აღსანიშნავად იხმარებოდა და ინდივიდუალური, პირადი მნიშვნელობით იფარგლებოდა. საზოგადო დანიშნულების პირობით ნიშნებს სხვადასხვა ტერმინის ან ასეთად მიღებული სიტყვის ნაცვლად სიმოკლისათვის ხმარობდნენ. ტექსტის დასაწყისში დაისმოდა ასო „ქ",რასაც „ქანწილი" ერქვა დაიკითხებოდა როგორც „ქრისტე", ბოლოში დაისმოდა ჯვრის გამოსახულება, რაც დასასრულს აღნიშნავდა. სახელდების აღსანიშნად გამოიყენებოდა ფრინველის თვალის გამოსახულება, რასაც „ჩიტის თვალი" ერქვა.

ქართველები რიცხვის აღსანიშნავად ანბანის ასოებს იყენებდნენ. თუმცა, XI ს-დან არაბული ციფრებიც შემოვიდა, მაგრამ XIX ს-მდე მას ფართო გავრცელება არ მიუღია. ანბანის პირველი ცხრა ასო თანმიმდევრობით აღნიშნავდა ერთეულებს, მეორე ცხრა _ ათეულებს, მესამე ცხრა _ ასეულებს, მეოთხე ცხრა _ ათასეულებს.

ანბანის ბოლო ასოს (ჰოი) რიცხვითი მნიშვნელობა ათი ათასი იყო. ანბანის რიცხვ-ნიშნებით იწერებოდა თარიღებიც წელთაღრიცხვის იმდროს მიღებული სისტემების მიხედვით. მაგალითად, თუ უნდოდათ ეთქვათ, რომ ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე გასულია 5604 წელი, ასე დაწერდნენ: ქვეყნის დასაბამიდან ქრისტეშობამდე გასულია წელნი ჭქდ, სადაც ჭ=5000, ქ=600, დ=4; რიცხვების გამომხატველ ასოებზე ქარაგმის ნიშნები დაისმოდა. ანბანის რიცხვ-ნიშნები გამოიყენებოდა, აგრეთვე, ფულის ანგარიშის საწარმოებლად და ჩასაწერად. ამ დროს ითვალისწინებდნენ მონეტის (ლითონის ფული) წონას.

საქართველოში ხელნაწერი წიგნების შექმნის მდიდარი ტრადიცია არსებობდა. ამ საქმეში დახელოვნებული ქართველი ოსტატების ნახელავი იმ დროის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკას ტოლს არუდებდა. შემუშავდა შესაბამისი ტერმინებიც. ხელნაწერი წიგნი შედგებოდა რვეულებად აკინძული ფურცლებისაგან. ფურცლის ცალი მხარის აღსანიშნავად „კერძო" (ე.ი. თანამედროვე გვერდი) გამოიყენება. ძირითადი ტექსტის სახელწოდება „მკვიდრი" იყო, ხოლო ფურცლის ქვედა და ზედა არშიებს „პატივი" ერქვა, წიგნის თავში ან ბოლოშიდართულ სარჩევს „ზანდუკი". ნაწერის ერთი ხაზის, ანუ მწკრივის აღსანიშნავად ბერძნულიდან მომდინარე „სტრიქონი" დამკვიდრდა.

შემოქმედებითი და ცხოვრებისეული პრაქტიკა დროთა განმავლობაში აყალიბებდა სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის ტექსტების შედგენის წესსა და თხრობის მანერას, რაც ზოგადი სავალდებულო შაბლონის სახეს ღებულობდა და შინაგანი მდგრადობით ხასიათდებოდა. ამით განირჩეოდა ერთმანეთისგან აგიოგრაფიული თუ საერო მხატვრული ნაწარმოები, ისტორიული მატიანე, იურიდიული აქტი (საბუთები) თუ პირადი წერილი და ა.შ.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. იურუდული აქტი, ანუ საბუთი იწერებოდა გარკვეული სქემის მიხედვით. შემუშავებული იყო მისი ტექსტის სტრუქტურა და სტილი.ტექსტის სტრუქტურის თითოეული ნაწილი, ანუ ფორმულარი დალაგებულია ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი თანმიმდევრობით. ერთი სახის ყველა საბუთს ერთნაირი ფორმულარები აქვს.განსხვავებულია მხოლოდსაბუთის შინაარსი.საბუთი, რაკიის იურიდიული აქტია, დგებოდა გარკვეული ხედვით, გარკვეული წესით. ეს წესები უცვლელი რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე. დროთა ვითარებაში ხდებოდა საბუთების შემადგენელი ნაწილების გაფართოება ან შეკვეცა, გამოთქმათა შეცვლა თანადროული გრამატიკული ფორმებით, მაგრამ საბუთის ძირითადი ფორმა და მისი სტრუქტურა ერთნაირი რჩებოდა.

აი, ერთი ნიმუში, თუ როგორ იწერებოდა საბუთი:

1187 წ. სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი

„ქ. სახელითა ღმრთისაითა, მე, თამარ ბაგრატუნიანმან – ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელმან, ვინებე, რათამცა წარსამართებელად მეფობის ჩემისად და სალოცველად მომავლისა ჩემისა . . .

... მოვახსენე დედასა ღმრთისასა [გელათსა შინა] და მუნ შინა დაუსრულებლად განჩენილსა ტრაპეზსა არგუეთს ჭორვილაი, კავაისძისა ცოლეული, ჰქონდეს ტრაპეზსა მიუკუნისამდინ.

და არავინ გვიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისაი, არცა მეუნებლე, მავნებელი და დამაკლებელი და თუ ვინმე იკადროს ამის ჩემისა გაგებულისა შეცვალებად, . . . გამცაურის ხდების მამაი, ძე და სული წმიდაი . . . და კრულმცა არის სიტყუითა ღმრთისაითა მკუდარი და ცოცხალი გაუხსნელად დანუმცა რაი წარემართების მისთვის საუმჯობესოდ ქმნილი.

აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩემი, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბრძანებასა ამას ჩუენსა, ნუცა რას ვინ დააკლებთ.

დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩემი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეათესა,

ხელითა საწოლისა და საჭურჭლისა ჩუენისა მწიგნობრისა არსენი სამძივარისაითა“.

ქართველებში უძველესი დროიდან მოიკიდა ფეხი ინფორმაციის მანძილზე გადაცემის წერილობითმა ფორმამ. ეს იყო წერილი, რომელსაც ეპისტოლესაც უწოდებენ („ეპისტოლე“ ბერძნული სიტყვაა და შეტყობინებას ნიშნავს).

წერილს წერდა საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენელი: მეფე და დედოფალი, სამეფო ოჯახის წევრები, დიდგვაროვანი არისტოკრატები, ვაჭრები და მოქალაქენი, საეკლესიო პირნი და მოხელეები. წერილები იგზავნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ – ირანსა და ოსმალეთში, რუსეთსა და ევროპაში, ქალაქებში: მოსკოვსა და ასტრახანში, მოზდოკში, ყიზლარში, ბაქოში, განჯასა და ერევანში, სტამბულსა და სხვა მრავალ ქალაქში.

წერილს ჩვენში, ისევე როგორც ყველგან, თავისი სტილი და ფორმა ჰქონდა, მისი შინაარსიც ხშირად შაბლონურად იყო გადმოცემული. საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენლის წერილს თავისი ლექსიკა და სტილი ჰქონდა. მსხვილი ფეოდალური წრის ოჯახების წევრები და მაღალი საზოგადოება წერილს წერდნენ ამაღლებული და ღვარჭნილი სტილით. ვაჭართა და მოქალაქეთა წერილების სტილი საქმიანი და მშრალი იყო. წერილის სტილს საზღვრავდა მისი დანიშნულებაც. მაგალითად, სამძიმრის და მილოცვის წერილები იწერებოდა განსაკუთრებით მაღალფარდოვნად.

წერილი თავისი დანიშნულებითა და შინაარსით სხვადასხვა ტიპისა იყო. ცალკე ჯგუფს ქმნიან სახელმწიფო და საქმიანი წერილები, რომელშიც შედის მეფე-მთავართა მიმოწერა სახელმწიფოებრივ საქმეებზე, მეფის ოჯახის წევრების და სამეფო კარის მოხელეების წერილები, რომლებიც საქმიანი ურთიერთობის გამომხატველია. ცალკე ჯგუფდება კერძო ან პირადი წერილები – მოკითხვის, მილოცვის, სამძიმრის, მოწვევის წიგნები და ა.შ.

ყველა ტიპის წერილი გარკვეული ფორმით იწერებოდა. ერთნაირი იყო მათი როგორც გარეგანი გაფორმება, ისე შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობა.

ჩვენში წერილების შედგენის ასეთი სქემა დასტურდება: 1. მიმართვა; 2. სახელდება (ადრესატისა და ავტორისა); 3. თხრობა; 4. ხელრთვა (ან ბეჭედი); 5. თარიღი; 6. მოკითხვები და მადლობები სხვათაგან შემოთვლილ მოკითხვებზე (ეს ნაწილი იწერებოდა აშიებზე).

აი, ერთი ნიმუში, თუ როგორ იწერებოდა პირადი წერილი:

1707 წ. წერილი მეფე გიორგი XI–ისა სულხან–საბა ორბელიანისადმი

„ქ. ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხან!
მრავალი მოკითხვა მომიხსენებია: მერმე: თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, მღთით
უჭირველად ვარ.

... ლექსიკონი გამოგვეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც
გამოგვეგზავნა, მე ის მიამებოდა. შენმა მზემა, ასრევ მეამა და გავეწყვე, რომე თათრულს წიგნზე მივდ–
გარვარ და კიდეც ვისწავლე, ლამის ის გამაშორბინოს ამის კითხვამა. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ
გეტყვი შენდობასა. დიაღ, კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყვევ. ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული
სიტყვა არის ვერ შემიტყვია, თუ ამას გარკვევით კაი ხელად დამიწერინებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება.
ეს ნუსხა არის,

შენთვის კიდევ გექნება იმაზედ გარდმომიწერინე, დიაღ დაგიმადლებ. გიორგი.
ქ. ჩემ მაგიერ ნიკოლოზს, ყაფლანს, ზურაბს, ერასტის, ტეტიას მრავალი მოკითხვა
უამბეთ“.

ჟანრისა და შინაარსის მიხედვით წერის განსხვავებული სტილი საუკუნეების განმავლობაში თავისი შინაგანი განვითარების გზას გადიოდა. ამ გზით ყალიბდებოდა საეკლესიო თხზულებების, საერო ნაწარმოებების, საკანცელარიო (საქმიანი) დოკუმენტების სპეციფიკური ენა და სტილი. ამ თავისე- ბურებების თეორიული განზოგადება მოგვცა XVIII საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ პირველმა. მან შეიმუშავა თეორია „სამი შტილისა, წერდა მეტად განყენებული, ხელოვნური ენით, რასაც თანამედროვენი მაინც დამაინც არ უწონებდნენ..

1801-1810 წლებში რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო. ამის შემდეგ, მოკლე ხანში ქართულ ენას სახელწიფო სტატუსი ჩამოერთვა. რუსეთის იმპერიამ ყველაფერი იღონა, რომ ქართველებს მშობლიური ენა დავიწყებოდათ. ქართული ენის დაცვა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო.

უდიდესი გარდატეხა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში XIX ს-ის მეორე ნახევარში განხორციელდა. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გაიშალა ფართო რეფორმატორული მოძრაობა, რამაც ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა. ამას შედეგად მოჰყვა ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განახლება. რეფორმა, უწინარეს ყოვლისა, შეეხო ქართულ სალიტერატურო ენას. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს თავიანთი ენობრივი კრედო, რომელიც რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა. ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო სალიტერატურო ენის დაახლოება სასაუბრო ენასთან, ანუ ცოცხალ მეტყველებასთან და, აგრეთვე, ქართული ანბანის შესაბამისობაში მოყვანა. სწორედ ილიამ ამოიღო ანბანიდან რამდენიმე ასო, (ჱ; ჲ; ჳ; ჵ;) რომელთა შესაბამისი ბგერა ქართველთა მეტყველებაში უკვე აღარ ისმოდა. რეფორმატორები თავიანთ პრინციპს პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ შემოქმედებაში. აღნიშ- ნული გარდატეხა იმდენად მომწიფებული და დროული აღმოჩნდა, რომ ის ყოველგვარი სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერის გარეშე წარმატებით გატარდა. ამან, თავის მხრივ, გეზი მისცა თანამედროვე სალიტერატურო ენის განვითარებას. რეფორმებმა შესატყვისი სიახლეები შეიტანა წერის კულტურაში, რაც ეპისტოლურ ჟანრშიც აისახა. ამ პერიოდის წერილობითი კომუნიკაციის საყურადღებო ნიმუშებს წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე წერილი:

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი

„საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირავარო, ატილლას ტახტზედ მჯდომარეო!
ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვზერდებიო, პოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითინ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით. ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოქრის. ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის. ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება.. მე ახლავე მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჯას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე, და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ შენ იცი. – ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.
გუშიმ შაჰის ელჩი შემოვიდა, თუ გახსოვს მირზა-სალი, ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი. – მაზეგ, რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართველი. მაგრამ ვინც შენ გეგულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან. Но и тут они выигривают; будь вместо Мирза-Сали граф Чичероне. Оне тотчас бы приехали на бал. ბალის ამბავს შეგატყობინებ. – ჩვენი ლევან ქუთაისში გააგდეს პორუჩენიით. – მე და შენში დარჩეს (ისე კი არა, ბაკლანას რომ ხომალდი დაეღუპა). გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მიღება, და მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ხარჯად, და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. საკვირველია, რომ უარი აღარ სთქვა. დახე, ქვეყნის ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გავხსენ და წავიკითხე. ბევრი ვიცინე.

ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდინ თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიაში. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.

არ ვიცი ბუმაჟნიკი და ქუდი მოგივიდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ გიმზადებდნენ.

კნიაზი ჭავჭავაძე თავისის კნეინათი მარტყობს იყვნენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყვნენ სავარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ზეზაკის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქმროდ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძრალიყავ და მუხრავანში, იმის ოთახში, შუაღამისას დაბადებულიყავ? იქიდგან კალასკაში კნიაზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ, და კნეინა და სავარსამიძის ცოლი ერთად უკან. Довольно подробно!

მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ-სოფლითგან. – ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა.

– საწყალი! Вот человек, который, по своему положению в свете, более всех страдал. Минувшее проходило перед ним и волновалось, как море-океан.

სხვა რაღა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები, и вообше, здесь и грусно, и скучно, и некому руку подать в минуту душевной невзгоды.

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

(მოყვანილია მთლიანად ლექსი „სულო ბოროტო“)

ამით გავათავოთ ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს, და შემდეგ ბევრს მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ, და რაც ვიცი და არ ვიცი, სულ გავაჭრელებ. ახლა ფაცაფუცით არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც შენ მოიწერები.სირცხვილია რომ მაგ საშინელებაებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბრძანე რომ დაწერონ.

შენი მარადის ნ. ბარათაშვილი
21 აგვისტო, 1843 წელი
თბილისი

(პირველი გვერდის არშიაზე სწერია:)
მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუტილამ მოგიკითხეს. –
არ გებრალება, რომ მაია ქვეშაგებად ჩავარდა! – გიორგი ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ.“

„ივერიაში“ (N-55) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ბატონო რედაქტორო! ჟურნალ „მოგზაურში“ (1905 წ. N-13) დაბეჭდილია წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“.

ამ წერილის ავტორს, სხვათა შორის მე ვყევარ ამოღებული ნიშანში. იმ მხრით, ვითომც მე სამარცხვინო გულ-ქვაობით და საზიზღარ ავ-კავობით ვექცეოდე საგურამოში მცხოვრებ გლეხ-კაცობას.

ბატონი ავტორი სახელსა და გვარს ჰმალავს და ამოჰფარებია ორს ასოს – „ვ.ნ.“ მე არ ვიცი, – ვინ არის ავტორი და არც მინდა ვიცოდე, რადგან „ნაყოფი ხისგან და ხე ნაყოფისგან საცნაურ არს“. ხოლო სახელისა და გვარის დამალვა იმისთანა საქმეში, საცა კაცი კაცს სამარცხვინო საქციელს, ავ-კაცობას, ავზნეობას სწამებს, სადაც ჩირქსა სცხებს ადამიანის პატიოსნებას, სინდისს, ადამიანურ ღირსებას, ერთი სიტყვით, ყოველს იმას, რაც ადამიანის უძვირფასესს კუთვნილებას შეადგენს, ვერაფერი მოქალაქეობრივი ვაჟკაცობაა და ქურდულად, უკანიდან მოპარვით ისრის ტყორცნასა ჰგავს.

თუმცა ასეა, ბ-ნო რედაქტორო, მაგრამ მინამ მე ავტორის გამტყუვნებისათვის ვრცელს დასაბუთებულს წერილს მოგართმევდე „ივერიაში“ დასაბეჭდად, გთხოვთ ღონისძიება მომცეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოვაცხადო ჩემთა კეთილ- მყოფელთა სანუგეშოდ, რომ ყოველივე მოთხრობილი ჩემს შესახებ „მოგზაურში” თავიდამ ბოლომდე მტკნარი ტყუილია და განგებ სხვადასხვა ელ-ფერით შეღებილი. ამისი უტყუარი და უცილობელი საბუთები ზოგი ხელთა მაქვს, ზოგსაც გამოკითხვა და შემოწმება სჭირია და ამას დრო უნდა.

დასასრულ, ვალად ვრაცხ ჩემ თავს უგულითადესი მადლობა მოგახსენოთ, რომ არ დაგიჯერებიათ იგი ამბები, რასაც ხსენებული ავტორი „მოგზაურის” შემწეობით ჩემდა შესარცხვენად ჰღაღადებს. იმედი მაქვს, თავისს დროზე დაგანახოთ, რომ თქვენს გულის თქმას და თქვენს წინად-გრძნობას ამ შემთხვევაშიც თქვენთვის არ უღალატნია და პრესსა ადამიანის სათელავად არ გაგიხდიათ განუკითხველად. პრესის უზენაესი დანიშნულება იქნება იმოდენად მხილება არ იყოს დამნაშავისა, რამოდენაც მფარველობა და სარჩლია უდანაშაულოსი.”

15 აპრილი 1905 წ.
ილია ჭავჭავაძე

პარიზში დაბრუნებული ფრანგი პროფესორი 1897 წლის 9 ოქტომბერს აღტაცებულ წერილს მოსწერს ილია ჭავჭავაძეს:

„ჩემო ძვირფასო თავადო!

ორი დღეა, რომელიც ჩვენ გავატარეთ თქვენს გვერდით, დარჩება ჩემს ხსოვნაში ჩემი ცხოვრების ყველზე მომხიბლავ დღეთა შორის. ისინი არიან აგრეთვე ყველაზე ჭკუის მასწავლებელ დღეთა-განნი. როგორი სიამოვნებით ვისმენდი ყველა იმ მშვენიერ ქართულ ლეგენდებს, ანდაზებს, რომელ-ნიც ასახავენ თვით ქართველი ხალხის სულს; ბოლოს ეგზომ საინტერესო ქართულ სიმღერებს, რომელნიც თქვენ მოგვასმენინეთ და ბედნიერი ვიქნები, როცა ამ შთაბეჭდილებებს გავაცნობ ჩემს ქვეყანაში. მე უკვე მრავალჯერ გადამიკითხვას თქვენი პოეზიის ზოგიერთი თარგმანი. რაოდენ სურ-ვილის მომგვრელია გაეცნო სხვებსაც! რა სამწუხაროა, რომ ჩვენი მანდ ყოფნა ასე ხანმოკლედ იყო! რარიგ მწყურია კვლავ ვესტუმრო თქვენს წარმტაც ქვეყანას! როდის შევძლებ კვლავ ვინახულო იგი და უფრო დიდი ხნით.

ეს კამეჩების ურმით მთაში გასეირნება, ეს ეგზომ სადა და მიმზიდველი რელიგიური ცერემონია ძველს მონასტერში (ზედაზენში), საუცხოო დღე, რომლის მსგავსს ვერასოდეს ვეღარ ვიხილავ და, რომელიც მარად დარჩება ჩემს მეხსიერებაში!

რა მომხიბლავია კნეინა ოლგა! რაოდენ კეთილი იყო იგი ჩვენს მიმართ! მისთვის დამახასიათებე-ლი თვისებები წარუშლელად აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში, როგორც თვით სიკეთის განსახიერება. მე ძალიან გთხოვთ გადასცეთ, თუ რაოდენ მადლიერი ვარ მისი მომხიბვლელი სტუმართმოყვა-რეობის.

მას და თქვენ, ჩემო ძვირფასო თავადო, გიგზავნით ჩემს უგულითადეს სურვილებს და დარწმუ-ნებული ბრძანდებოდეთ თქვენდამი ჩემს გულწრფელობასა და ერთგულებაში.
ჟაკ ბერტილონი.“

ინგლისურ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების ღირსშესანიშ- ნავი ფაქტია ინგლის-რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების პრეზიდენტის, ე. კაზალეტის მიერ 1897 წლის 3 სექტემბერს გამოგზავნილი წერილი ილია ჭავჭავაძისადმი:

„თქვენო ბრწყინვალებავ!
წავიკითხე რა „ნივაში“ ვ. ველიჩკოს ხელმოწერით სტატია თქვენზე და თავად რ.დ. ერისთავზე, ვბედავ მოგმართოთ თქვენ ორივეს თხოვნით, უარი არ გვითხრათ, მოგვაწოდოთ ცნობები თქვენს ცხოვრებაზე და ლექსებზე.
ჩვენი სურვილია დავბეჭდოთ ისინი ინგლისურ ენაზე ჩვენს მომავალ ბროშურაში.
... იმედი მაქვს, რომ თქვენ ორივე უარს არ გვეტყვით და აგრეთვე ნებას მოგვცემთ აგირჩიოთ ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრებად.
ჩვენი მიზანია დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობა თქვენსა და ინგლისელებს შორის.
თუ შემიძლია რამე სარგებლობა მოგიტანოთ, მზად ვარ გემსახუროთ. ღრმა პატივისცემით თქვენი ბრწყინვალების მორჩილი მსახური

ე.ა. კაზალეტი,
პრეზიდენტი!“

როგორც ვხედავთ, როგორც ქართული, ისე დასავლური კულტურის წარმომადგენელი ავტო- რები წერის მსგავსი სტილით ხასიათდებიან, რაც მათი აზროვნებისა და კულტურის სიახლოვეზე მიუთითებს.

1991 წლიდან საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მიუხედავად ამისა, ქართული ენა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. გლობალიზაცია აქტუალურს ხდის ქართული ენის სალიტერატურო ნორმებისა და აკადემიური წერის კულტურის დაცვასა და შენარჩუნებაზე ზრუნვას. XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ჩატარებული რეფორმების შედეგად საქართველო უახლოვდება დასავლურ საუნივერსიტეტო განათლების სისტემას, რაც პირდაპირ აისახება სტუდენტთა წერითი ნაშრომების შინაარსისა და ფორმის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზეც. სტუდენტისაგან ელიან არა სხვათა ნააზრევის უბრალო ასახვას, არამედ მათ შეპირისპირებას, კრიტიკულ ანალიზსა და საკუთარი დასკვნების გამოტანისა და დაცვის უნარს, რაც ამავე დროს მინიმუმამდე ამცირებს საუ- ნივერსიტეტო წერითი ნაშრომების გადაწერისა და პლაგიატის შესაძლებლობას. ჩნდება ძლიერი მოთხოვნა სხვადასხვა ჟანრის თემების მიმართ საუნივერსიტეტო სივრცეში. ყოველივე ეს ხელს უწყობს სტუდენტთა დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიტიკურ-შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პრაქტიკულად ახალი კულტურის მიმართ, ახალი მოთხოვნები ჩამოყალიბდა რისი დაკმაყოფილების მცდელობასაც წარმოადგენს წინამდებარე აკადემიური წერის სახელმძღვანელო.

I. 1 წერის საწყისი ელემენტები

სადისკუსიო კითხვები: რა არის აკადემიური წერა? ვინ, სად და რისთვის იყენებს აკადემიურ წერას? როგორი ნაწერი შეიძლება მივიჩნიოთ კარგ ნაწერად? რა და რა საკითხზე გვიწევს წერა? ვისთვის და რისთვის გვიწევს წერა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში? როგორ წერთ თქვენ და რატომ ფიქრობთ ასე?

ყოველთვის, როცა ადამიანი იწყებს ნებისმიერი სახის ტექსტზე მუშაობას, მის წინაშე დგება სამი კითხვა: რას ვწერ? რისთვის ვწერ? და ვისთვის ვწერ? სხვა სიტყვებით, სრულყოფილი წერითი კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია დავადგინოთ თემა, მიზანი და აუდიტორია.



თემა

საუნივერსიტეტო აკადემიურ გარემოში თემა ხშირად სასწავლო საგნის მიზნებით არის განპირობებული და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, იმ საკითხით დავინტერესდეთ , რომლის შესახებ დაწერაც ჩვენ დაგვავალეს. ამავე დროს, თემის კონკრეტული ასპექტის შერჩევის პასუხის- მგებლობა, როგორც წესი, სტუდენტს გადაეცემა ხოლმე. ბევრი სტუდენტისათვის არჩევანის ამგვარი თავისუფლება ხშირად საკმაოდ შემაშფოთებელია. ისინი ვერ ახერხებენ გაერკვნენ, თუ რა არის მათთვის მართლა საინტერესო და მნიშვნელოვანი. დავალების მიღების შემდეგ სტუდენტი დიდხანს შესცქერის ცარიელ ფურცელს ან კომპიუტერის ეკრანს და ვერ გადაუწყვეტია, თუ რა საკითხი შეარჩიოს და რატომ.

ზოგადად, წერისათვის შესაფერისი საკითხის შერჩევისა და განსაზღვრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ რა ვიცით ჩვენ კონკრეტული თემის შესახებ და რა წარმოდგენა გვაქვს მკითხველზე. ამაზეა დამოკიდებული ის, თუ რა თემას ან თემის რა ასპექტს შეარჩევთ წერისათვის.